



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა, ბაკალავრიატი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 24 თებერვალი, 2023

დასკვნის წარდგენის თარიღი - 3 აპრილი, 2023

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	15
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	15
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	23
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	28
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	31
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	39

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ციცინო თურქაძე, სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მამუკა ბენაშვილი, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა გიორგაძე, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარი დოლიძე, შპს „თეგეტამოტორსი“ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯავახიშვილი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Engineering Safety and Emergency Management
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	პროფესიული უსაფრთხოების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება 1022
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული; გადაწყვეტილება # 616091, 22 ივნისი 2021
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ პირობითი აკრედიტაცია მიიღო 2021 წლის 22 ივნისს და გადაწყვეტილება ძალაშია 2023 წლის 8 ივნისამდე. პირობითი აკრედიტაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, 2022 წლის დეკემბერში სტუ-მ აკრედიტაციისათვის წარმოადგინა აღნიშნული პროგრამის განახლებული ვარიანტი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის სტუ-ში ვიზიტის შედეგად 2022 წლის 24 თებერვალს.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით.

წარმოდგენილი შეფასება და ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა არის ჯგუფის წევრების ერთობლივი მუშაობის შედეგი, რომელსაც წინ უძღოდა როგორც ჯგუფის მოსამზადებელი დისტანციური შეხვედრა და ელექტრონული კომუნიკაცია, ასევე ვიზიტის შემდგომი სამუშაო შეხვედრები და განხილვები.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის მუშაობისა და ჩატარებული შეფასების შედეგად აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით შეფასება შემდეგნაირია:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ მიზნები შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიას და სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მიზნებს, ამოცანებს და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. პროგრამის მიზნებში წარმოდგენილია პროგრამის ხედვა და მიმართება, რაც მოიცავს კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების საკვანძო აღწერას.

პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა სფეროების კლასიფიკატორში წარმოდგენილი დეტალური სფეროს - პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება (1022) აღწერას და წარმოადგენს განაცხადს პროგრამის კურსდამთავრებულის ძირითადი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის შესახებ.

პროგრამის შეფასების პროცესში აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ ყურადღება გამახვილდა პროგრამის დასახელებაზე - „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“, რომელიც ვიწრო ჩარჩოებში აქცევს პროგრამას და გარკვეულად, სრულად ვერ წარმოაჩენს დეტალური სფეროს „პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ მიმართებებს. დაწესებულების არგუმენტია ის, რომ პროგრამის დასახელების ცვლილება გამოიწვევს პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსების დაკარგვას, რადგან სჭირდება ხანგრძლივი პროცესი დასახელების მიხედვით სახელმწიფო დაფინანსების ცვლილებას.

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

პროგრამას განსაზღვრული აქვს ათი სწავლის შედეგი, რომლებიც ლოგიკურად არის ბმავი პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან. პროგრამის განმახორციელებელ გუნდს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრისა და დადგენისათვის გამოყენებული აქვს ცხრილის მატრიცა - ე.წ. „კურიკულუმის რუკა“, რომლითაც ნაჩვენებია თითოეული სწავლის შედეგის კავშირი პროგრამის მიზნებთან.

მოცემულ ეტაპზე, პროგრამის მოდერნიზების 2 წლიანი სამუშაოების პროცესში ჩატარებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში“. დოკუმენტის მიხედვით, შეფასებაში გამოყენებულია კომპლექსური მონაცემები, როგორცაა: აკადემიური მოსწრების ანალიზი პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისა და მისი მიღწევის უზრუნველყოფი სასწავლო კურსებში მიღებული შეფასებების მიხედვით, სტუდენტების თვითშეფასება სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ კომპლექსური მონაცემების სწორი და ვალიდური ანალიზი მნიშვნელოვნად წაადგება პროგრამის შემდგომ განვითარებას და გაუმჯობესებას. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მონაცემების დამუშავება და ანალიზი განხორციელდეს კრიტიკული საკითხების იენტიფიცირებაზე ორიენტირებულობით, რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების კომბინაციით.

ინტერვიუების პროცესის დროს გამოიკვეთა, რომ პერსონალისა და სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი არ იცნობდნენ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს. შესაბამისად, რეკომენდებულია დაინერგოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი ეცნობება პერსონალსა და სტუდენტებს შეხვედრების, ელექტრონული კომუნიკაციისა (მაგ. დოკუმენტის დაგზავნა კორპორატიულ ფოსტაზე, შეტყობინება სტუდენტურ პორტალზე) და სხვა გზების გამოყენებით.

წარმოდგენილი პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, პროგრამის სტრუქტურით ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა არის 192, მათ შორის საწარმოო პრაქტიკა შრომის უსაფრთხოებაში - 10 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 5 კრედიტი, უცხო ენის კურსები სავალდებულოა (არჩევითია ენების მიხედვით) და წარმოდგენილია 20 კრედიტით, ხოლო ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები პროგრამაში წარმოდგენილია სამი ბლოკის სახით, ჯამში 10 კრედიტით, თავისუფალი კომპონენტები შეადგენს 18 კრედიტს.

პროგრამის მოდერნიზების 2 წლიანი სამუშაოების შედეგად განხორციელებულია ცვლილება - სასწავლო კურსის „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა“ ძირითადი სწავლის სფეროს საგნებიდან გადავიდა თავისუფალ კომპონენტებში. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მოცემული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელია საინჟინრო გრაფიკისა და ხაზვის სავალდებულო სტატუსით სწავლება. აღნიშნულ პოზიციას ასევე დაეთანხმნენ განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სტატუსით გათვალისწინებულ იქნას საინჟინრო გრაფიკის სასწავლო კურსი.

წარმოდგენილი სტრუქტურითა და შინაარსით პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურა მეტწილად თანმიმდევრულია. ლოგიკურობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია, რომ პროგრამას სასწავლო კურსებისათვის განსაზღვრული აქვს მათი როლი სწავლის შედეგებთან მიმართებით სამდონიანი შკალის მიხედვით (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება). თუმცა გარკვეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები წარმოდგენილია კომპლექსურად და არ წარმოადგენს საბაზისო სასწავლო კურსის (1-გაცნობა) შესაბამის განაცხადს.

ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო კურსი, რომელიც მნიშვნელოვანია პროგრამის საბოლოო სწავლის შედეგების ფორმირება-შეფასებისათვის არის საბაკალავრო ნაშრომი. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში წარმოდგენილია სტუდენტის სამუშაოსა და დავალებების აღწერა, რაც მისადაგებულია დარგობრივი სფეროს მოთხოვნებთან. თუმცა მოცემული კურსი საჭიროებს გაუმჯობესებას, რადგან კურსის შინაარსი და საბაკალავრო ნაშრომის შესრულების მეთოდური მითითებები ნაკლებად ასახავს მოთხოვნებს ნაშრომის შინაარსის, ფორმატის, აკადემიური წერის სტილისა და ციტირების წესების შესახებ.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა მეტწილად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. აკრედიტაციის ექსპერტები პროგრამის წინა შეფასებაშიც აღვნიშნავდით, რომ სასწავლო კურსებისათვის ეროვნულ დონეზე არსებობდა ქართულენოვანი

ლიტერატურა და საკანონმდებლო აქტები, რომელთა გამოყენებაც მნიშვნელოვანი იყო სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. მოცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია პროგრამის გარკვეულ სასწავლო კურსებში, თუმცა პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დარგობრივი სფერო სპეციფიურია, რადგან ეს სფერო იმართება და რეგულირდება სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტებითა და რეგულაციებით, განსაკუთრებით ISO და ILO სტანდარტებით. სასწავლო კურსების სალექციო სახელმძღვანელოების შემუშავებისას პერსონალი ნაკლებად ეყრდნობა მოცემულ თანამედროვე სტანდარტებსა და ლიტერატურას. მოცემული პროგრამისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტებს ასწავლოს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული მზომი ხელსაწყოების გამოყენების სფეციფიკა, გაზომვების განხორციელება და დოკუმენტირება.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია მემორანდუმები, რომელიც გაფორმებულია სხვადასხვა მსხვილ კომპანიებთან. მემორანდუმის ფარგლებში შესაძლებელია სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე გავლა და ზედამხედველობის პროცესში ჩართვა. პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტებს ხელმძღვანელობს სტუ-ს აკადემიური პერსონალი და პრაქტიკის განმახორციელებელი კომპანიიდან გამოყოფილი პირი.

სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემულია სწავლება - სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ჯგუფური (collaborative) მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირება, დედუქციური, ინდუქციური, ანალიზი, სინთეზი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, წერიტი მუშაობა, ახსნა-განმარტება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია. თითოეულ სასწავლო კურსში სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში გაცხადებულია, რომ, სტუდენტების შეფასებისათვის გამოიყენება ე.წ. სკალირებული ქულები, რომლებიც მრავლდება გარკვეულ კოეფიციენტებზე. სკალირებული ქულების (5-ის და 8-ის ჯერადი) მიდგომებია გამოყენებული საწარმოო პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის დასკვნითი შეფასებისას.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	-

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირებისა და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მხრიდან.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს: დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს; კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის პედაგოგთან ელექტრონული შეტყობინების მეშვეობით; ნახოს აკადემიური ჯგუფების ცხრილი; პედაგოგების ცხრილი და

აუდიტორიების/ლაბორატორიების დატვირთვა. აგრეთვე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ (ადმინისტრაციული საკითხები, სხვადასხვა გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად დაგეგმილი აქტივობები, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ და სხვ.) ინფორმაცია.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3. მატერიალური რესურსი	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული 52 პირიდან 26 პროფესორია, 23 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ-პროფესორი, 4 მოწვეული. მათ შორის, ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სასწავლო კურსების განხორციელებაში მონაწილეობს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესრულებას და პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია საბაზისო ცოდნა პროგრამის შემუშავებისათვის და მრავალნიანი გამოცდილება. მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით.

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობები გამომდინარეობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვისათვის განსაზღვრული წესებიდან, რომელიც მოიცავს სამართლიანი და ეფექტიანი დასაქმების პოლიტიკის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობას, თანამშრომელთა შეფასებას და მათ პროფესიული განვითარებისა და გადამზადების პროცესებს.

შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში აქტუალურია სწავლების ხარისხის ამაღლება, სასწავლო მასალის ეფექტიანად გადაცემა სტუდენტებისთვის, ფაკულტეტის 6 პროფესორი გადამზადდა ტრენერთა ტრენინგის მეშვეობით „სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიასა“ და „ეფექტური კომუნიკაციის მეთოდებში“.

მისასალმებელია უნივერსიტეტის მართვის პრაქტიკაში დანერგილი აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა, რაც გამოიხატება ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვორქშოპების, ტრენინგების, გამოფენების და სხვა სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება-მუშაობაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში. თუმცა პროგრამის გამოწვევაა აკადემიური პერსონალის კომპეტენციის ამაღლება უცხო ენაში (ინგლისურში), რათა მათ შეძლონ გამოიყენონ თანამედროვე დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა და დაამყარონ კავშირები უცხოელ კოლეგებთან, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას. თავად პროგრამას, თვითშეფასებაში გასაუმჯობესებელ მხარედ აღნიშნული აქვს შემდეგი: „უცხოელი პროფესორების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში (მათ შორის უკუკავშირის, რჩევების მიღების თვალსაზრისით)“ შესაბამისად, ამ მიზნით, ექსპერტთა რჩევაა დაიგეგმოს და პრაქტიკულად განხორციელდეს ინტერნაციონალიზაციის აქტივობები პროგრამის დარგობრივი მიმართულებით, სტუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდაჭერი მექანიზმების გამოყენებით.

საბაკალავრო პროგრამა ძირითადად უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. ვიზიტის დროს გადამოწმდა ბიბლიოთეკაში განთავსებული სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც მეტწილად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის თვითშეფასებაში დაწესებულების მხრიდან გასაუმჯობესებელ მხარედ იდენტიფიცირებულია „ზოგიერთი სასწავლო კურსისათვის ძირითადი ლიტერატურის განახლება“, ხოლო გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად დაგეგმილ აქტივობებში და ვადებში წარმოდგენილია შემდეგი ჩანაწერი:

„ზოგიერთი სასწავლო კურსისათვის ძირითადი ლიტერატურის განახლება“. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ამ საკითხზე პროგრამას არ აქვს სამოქმედო გეგმა, არ არის იდენტიფიცირებული რომელი კურსები საჭიროებენ პრიორიტეტულად ასეთი სამუშაოების ჩატარებას და რა ვადებში. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა მოცემული პროგრამისათვის 2020-2022 წლებში შექმნილი დარგობრივი ლიტერატურა, რომლის გადამოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ რიგი სალექციო კურსები სრულად ვერ ფარავს შესაბამისი სასწავლო კურსით განსაზღვრულ შინაარსს (მაგ. "მანქანათმშენებლობისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების უსაფრთხოება"), ასევე სალექციო სახელმძღვანელოების შემუშავებისას პერსონალი ნაკლებად ეყრდნობა დარგობრივი სფეროს თანამედროვე სტანდარტებსა (მაგ. ISO და ILO) და ლიტერატურას. შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამის მიერ შეფასდეს დარგობრივი ლიტერატურის განახლების საჭიროებები და სასწავლო კურსების სახელმძღვანელოების შემუშავებისას ძირითად ლიტერატურად გამოყენებულ იქნას დარგობრივი სფეროს თანამედროვე სტანდარტები და ლიტერატურა.

პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფილია მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. ეს რესურსები უმეტესწილად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა მატერიალური და ტექნიკური რესურსები მნიშვნელოვნადაა გასაახლებელი. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა მატერიალური რესურსების მუდმივად განვითარებისა და სრულყოფისათვის, ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის შემდგომი მოდერნიზებისათვის. პროგრამის თვითშეფასებაში გასაუმჯობესებელ მხარედ წარმოდგენილია „პროგრამისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერმანენტული განახლება“, ხოლო გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად დაგეგმილ აქტივობებში და ვადებში წარმოდგენილია შემდეგი ჩანაწერი: „ლაბორატორიების პერმანენტული განახლება თანამედროვე ხელსაწყო-მოწყობილობებით“. თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო პასუხი კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, გარდა მომავალში RMG-ის შესაძლო დაფინანსებით რიგი ტექნიკური მოწყობილობების შეძენაზე.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ ფინანსური ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამა მდგრადია. შესაბამისად, დაწესებულების ფინანსური რესურსები და პროგრამის ფინანსური შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით დარგობრივი სასწავლო სივრცეების მოსაწყობად, რაც დაწვრილებითაა აღწერილი 4.3 კომპონენტის შეფასებაში და შესაბამისი რეკომენდაციის სახით. შესაბამისად, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის ფინანსური რესურსების გონივრული და მიზნობრივი გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის შეფასებისა და განახლების პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკიდან გამომდინარე, აქტიურად იყო ჩართული პროგრამის აკადემიური გუნდი როგორც პროგრამული საფაკულტეტო კომისიის, ისე თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ფორმატში. რეაქრედიტაციის თავდაპირველ ეტაპზე, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა შესაბამისი კომპეტენციის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალით, სტუდენტით, კურსდამთავრებულითა და დამსაქმებლით. ცენტრალურ და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით, ჯგუფის წევრები ანალიზებდნენ პროგრამის თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებს, განიხილავდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს და აინიცირებდნენ პროგრამაში შესატან რიგ ცვლილებებს, რაც დასტურდება როგორც თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი ოქმებით, ისე მიზნობრივ ჯგუფებთან გასაუბრებებითა და მოდიფიცირებული პროგრამით.

სტუ საუნივერსიტეტო სერვისებისა თუ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მიზნით ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით - PDCA ციკლით, რაც მოიაზრებს პროცესების დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების უწყვეტ

პროცესს. ამავე ციკლის პრინციპების გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, შეფასება და განვითარება.

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის განახლების პროცესში გათვალისწინებულია წინარე აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების უმეტესი წილი, რის საფუძველზეც პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, მათ შორის, მოდიფიცირდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, შეიცვალა პროგრამის სასწავლო გეგმა, მეტ-ნაკლებად განახლდა სასწავლო კურსებში არსებული სავალდებულო ლიტერატურა, დაემატა ახალი სასწავლო კურსები და ა.შ. საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით პროგრამა შედარდა უცხოურ ანალოგ პროგრამებთან, რა დროსაც შესწავლილ იქნა პროგრამების მიზნები, შედეგები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კურიკულუმის სტრუქტურა და შემადგენელი სასწავლო კურსები და დატვირთვა ECTS კრედიტებში.

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების, შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით, სტუ-ში რექტორის ბრძანების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე იქმნება „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია“, რომელიც წინასწარშემუშავებული და დამტკიცებული რეგლამენტის საფუძველზე ახორციელებს პროგრამის კომპლექსურ შეფასებას. აღნიშნული კი გულისხმობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას, პროგრამითა და სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის შეფასებას, სასწავლო ლიტერატურის მონიტორინგს, პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებაზე დაკვირვებას, შრომის ბაზრის საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას, პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგს და ა.შ.

▪ რეკომენდაციები

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მონაცემების დამუშავება და ანალიზი განხორციელდეს კრიტიკული საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაზე ორიენტირებულობით, რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების კომბინაციით, ამასთან, დაინერგოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი ეცნობება პერსონალსა და სტუდენტებს შეხვედრების, ელექტრონული კომუნიკაციისა (მაგ. დოკუმენტის დაგზავნა კორპორატიულ ფოსტაზე, შეტყობინება სტუდენტურ პორტალზე) და სხვა გზების გამოყენებით.

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

2. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სტატუსით გათვალისწინებულ იქნას საინჟინრო გრაფიკის სასწავლო კურსი.
3. რეკომენდებულია გაუმჯობესდეს პროგრამაში შემავალი კურსების „საწარმოო ავარიები და კატასტროფები“, „საწარმოო სანიტარია“, შინაარსი და სწავლის შედეგების განაცხადი პროგრამაში მათი ადგილის, წინაპირობების, ლოგიკურობისა და თანმიმდევრულობის გათვალისწინებით.

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

4. სტუდენტის მიერ საკურსო სამუშაოსა და საბაკალავრო ნაშრომების ხარისხიანად შესრულების მიზნით, რეკომენდებულია, შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს საკურსო სამუშაოსა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და წარდგენის ზუსტი ინსტრუქციები, რომელშიც ასახული იქნება მოთხოვნები ნაშრომის შინაარსის, ფორმატის, აკადემიური წერის სტილისა და ციტირების წესების შესახებ.
5. რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსებში გაძლიერდეს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტებისა და რეგულაციების სწავლება (მათ შორის სასწავლო ლიტერატურის განახლებით), ასევე თანამედროვე მზომი ხელსაწყოების გამოყენების სფეროების, გაზომვების განხორციელებისა და დოკუმენტირების საკითხების სწავლება.

2.4 სტუდენტის შეფასება

6. მოდერნიზდეს საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შეფასებისათვის დადგენილი საუნივერსიტეტო რეგულაცია შეფასების მიდგომების გაუმჯობესების გზით, რაც უზრუნველყოფს პროგრამაში უფრო ლოგიკურ, სანდო და გამჭვირვალე შეფასების მიდგომების გამოყენებას, შესაბამისად, გაუმჯობესდეს სტუდენტის შეფასების მიდგომები პროგრამის

სწავლის შედეგების მაფორმირებელ ძირითად სასწავლო კურსებში - “საწარმოო პრაქტიკა შრომის უსაფრთხოებაში” და “საბაკალავრო ნაშრომი შრომის უსაფრთხოებაში”.

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

7. შემუშავდეს მწყობრი გეგმა გასაუმჯობესებელი მხარის „უცხოელი პროფესორების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში (მათ შორის უკუკავშირის, რჩევების მიღების თვალსაზრისით)“ აქტივობებისათვის, პრაქტიკულად განხორციელდეს ინტერნაციონალიზაციის აქტივობები პროგრამის დარგობრივი მიმართულებით, რომელშიც გამოყენებული იქნება სტუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერი მექანიზმები და რომლის შესრულება შეფასდება PDCA-ციკლის გამოყენებით.

4.4. მატერიალური რესურსი

8. რეკომენდებულია განხორციელდეს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართულების დარგობრივი ლაბორატორიების მოწესრიგება და ტექნიკური განახლება სფეროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

9. რეკომენდებულია პროგრამის მიერ შეფასდეს დარგობრივი ლიტერატურის განახლების საჭიროებები და სასწავლო კურსების სახელმძღვანელოების შემუშავებისას ძირითად ლიტერატურად გამოყენებულ იქნას დარგობრივი სფეროს თანამედროვე სტანდარტები და ლიტერატურა.

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

10. რეკომენდებულია, ფინანსური რესურსები მაქსიმალურად მოხმარდეს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით, პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართულების დარგობრივი ლაბორატორიების მოწესრიგებასა და ტექნიკური განახლებას, სფეროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა შეცვალოს პროგრამის ამჟამინდელი სახელწოდება “საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა”, რადგან შრომის უსაფრთხოება არის მულტიპროფილური სფერო და შესაბამისად არ მოიცავს მხოლოდ საინჟინრო უსაფრთხოებას.
- სასურველია უნივერსიტეტმა გამოიყენოს მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და მექანიზმები, რომლებიც გაზრდის პროგრამის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში აქტიურ ჩართულობას.
- პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, პროგრამის განხორციელებაში მოიწვიეთ და ჩართეთ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ დარგის შესაბამის ცოდნას და აქვთ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.
- განხორციელდეს აკადემიური პერსონალის კომპეტენციის ამაღლება უცხო ენაში (ინგლისურში), შედეგზე ორიენტირებით - პერსონალმა შეძლოს გამოიყენოს თანამედროვე დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა და დაამყაროს კავშირები უცხოელ კოლეგებთან, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.
- სასურველია, ინსტიტუციამ იზრუნოს პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ გამოკითხვებში რესპონდენტთა მაჩვენებლის გაზრდაზე, ასევე მოცემული პროგრამისათვის შესრულდეს თვისებრივი, სიღმისეული კვლევები, მათ შორის სტუდენტთა და კუსრდამთავრებულთა ფოკუს-ჯგუფების შექმნით.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

დასკვნის პროექტზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი წარმოადგენს შემდეგ საკითხებს:

რეკომენდაცია 1. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს ციკლურ პროცესს - შეფასებისათვის განსაზღვრულია 4-წლიანი სრული

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

ციკლი, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია სათანადო ხარისხით მოხდეს ყოველწლიური შეფასებაც. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ციკლის თითოეულ ეტაპზე მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი უნდა მოხდეს კრიტიკული საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებით, რისთვისაც გამოიყენება რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების კომბინაცია. პროგრამის პაკეტში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ჩატარებული შუალედური შეფასების დოკუმენტები, სადაც იკვეთებოდა გასაუმჯობესებელი მხარეები. ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, პროგრამაში ჩართული პირები (განსაკუთრებით ისინი, ვისაც პირადად ეხებოდა გასაუმჯობესებელი მხარე) არ იცნობდნენ შუალედური შეფასების შედეგებს. მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებებისა და არგუმენტების გათვალისწინებით აღნიშნული რეკომენდაცია რჩება უცვლელი სახით.

რეკომენდაცია 2. დაწესებულება ეთანხმება მოცემულ რეკომენდაციას, შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი სახით.

რეკომენდაცია 3. ექსპერტთა ჯგუფი ვერ გაიზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას შემდეგი მიზეზის გამო: სასწავლო კურსის შეფასება ხდება მისი სწავლის შედეგების მიხედვით და არა სასწავლო კურსის წინაპირობების მიხედვით. შესაბამისად, სასწავლო კურსის სწავლის შედეგები განსაზღვრავს მის ადგილს პროგრამაში. აღნიშნულის შესახებ მსჯელობა მოცემულია დასკვნის ნაწილში 1.4 კომპონენტის შეფასებისას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიერ უნდა გადაიხედოს „საწარმოო ავარიები და კატასტროფები“, „საწარმოო სანიტარია“, შინაარსი და სწავლის შედეგების განაცხადი პროგრამაში მათი ადგილის, წინაპირობების, ლოგიკურობისა და თანმიმდევრულობის გათვალისწინებით.

რეკომენდაცია 4. პროგრამის დარგობრივ სასწავლო კურსებში დაავალების სახით გამოყენებულია საკურსო ნაშრომის მომზადება. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზეც გადაამოწმა პროგრამის სტუდენტთა მიერ შესრულებული საკურსო ნაშრომები, რომლებშიც ნაკლებადაა რეალიზებული აკადემიურად ნაშრომის გაფორმებისა და მომზადების მოთხოვნები. ამასთან, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში არ არის მითითებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი წესი საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების შესახებ, ძირითადი ლიტერატურა წარმოდგენილია მხოლოდ მეთოდური მითითების სახით, რომელიც სრულად ვერ ფარავს მოთხოვნებს ნაშრომის შინაარსის, ფორმატის, აკადემიური წერის სტილისა და ციტირების წესების შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ რეკომენდაცია ყურადღებას ამახვილებს პროგრამის ფარგლებში ამ მოთხოვნების შემუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვაზე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას ტოვებს უცვლელი სახით.

რეკომენდაცია 5. უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ მოცემულ რეკომენდაციას მიიღება სასარგებლო რჩევის სახით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პროგრამაში გასაძლიერებელია პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტებისა და რეგულაციების სწავლება (მათ შორის სასწავლო ლიტერატურის განახლებით), ასევე თანამედროვე მზომი ხელსაწყოების გამოყენების სფეროების, გაზომვების განხორციელებისა და დოკუმენტირების საკითხების სწავლება. აღნიშნულს განაპირობებს მნიშვნელოვანი გარემოება - პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დარგობრივი სფერო სპეციფიურია, რადგან ეს სფერო იმართება და რეგულირდება სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტითა და რეგულაციებით, განსაკუთრებით ISO და ILO სტანდარტებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ამ რეკომენდაციას ტოვებს უცვლელი სახით.

რეკომენდაცია 6. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ კვლავ გადახედა მოცემულ საკითხს, რის შემდეგაც მიაჩნია, რომ დაწესებულებას გასაუმჯობესებელი აქვს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესში წარმოდგენილი შეფასების მიდგომები. საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასებისათვის გამოიყენება სკალირებული ქულა, რომელიც მიიღება 5 ქულიანი შეფასების კრიტერიუმით მიღებული შეფასების 6-ზე გამრავლებით. ამ კომპონენტში მაქსიმალური შეფასება შეადგენს 30 ქულას, ხოლო ზღვრულ მინიმალური დადებით შეფასებად განსაზღვრულია 15 ქულა, მაშინ, როდესაც ამ მიდგომებით შეფასება არის 6 ბიჯიანი ანუ ვერასდროს იქნება 15, სამაგიეროდ იქნება 12 ან 18.

ასეთივე მიდგომებით, საბაკალავრო ნაშრომის დაცვისათვის გამოყენებულია სკალირებული ქულა, რომელიც მიიღება სამი სხვადასხვა კომპონენტიდან (შინაარსი და გაფორმება, პრეზენტაცია, კითხვა-პასუხი) მიღებული ქულების (მაქსიმალური 14 ქულა) ნამრავლით 5-ზე. შესაბამისად, მაქსიმალური შეფასებაა 70 ქულა, ხოლო ამ კომპონენტისთვის დადგენილი მინიმალური დადებითი შეფასება არის 21, მაშინ, როდესაც ამ მიდგომებით შეფასება არის 5 ბიჯიანი ანუ ვერასდროს იქნება 21, სამაგიეროდ იქნება 20 ან 25.

ანალოგიური საკითხებია გასათვალისწინებელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესშიც, რომლის მიხედვით „დასკვნითი გამოცდის (დაცვის) მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის შეადგენს მაქსიმალური შეფასების 25%-ს, ხოლო მაგისტრანტებისათვის – 50%-ს. შეფასების სკალირებული ქულა მიიღება ფორმულით $S=8 \times M$, სადაც M არის შეფასების კრიტერიუმების თანახმად მიღებული ქულა“.

მოცემული წესის მიხედვით დასკვნითი შეფასების 40 ქულის 25% არის 10 ქულა, რაც ეწინააღმდეგება სტუ-ს დადგენილებას 11-ქულიანი ზღვარის შესახებ. ამასთან, 8 ქულიანი ბიჯით შესაძლებელია მიღებულ იქნას შემდეგი შეფასებები - 8 ან 16, რაც გამოყენებულ მიდგომას არალოგიკურს ხდის.

წარმოდგენილი საუნივერსიტეტო რეგულაციების გათვალისწინებით, პროგრამის კურსისათვის „საწარმოო პრაქტიკა შრომის უსაფრთხოებაში“ დასკვნითი გამოცდისათვის გამოიყენება 40 ქულიანი შეფასება, რომლისთვისაც გაწერილია 5 ქულიანი შეფასების კრიტერიუმები. ხოლო შემდეგ მიღებული ქულები მრავლდება 8-ზე. ამ მიდგომებით, სტუდენტს შეუძლია მიიღოს მხოლოდ 8-ის ჯერადი ქულები. მინიმალური შეფასების ზღვარი კი 10 ქულაა, რაც ეწინააღმდეგება სტუ-ს დადგენილებას 11-ქულიანი ზღვარის შესახებ.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია არის შემდეგი: მოდერნიზდეს საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შეფასებისათვის დადგენილი საუნივერსიტეტო რეგულაცია შეფასების მიდგომების გაუმჯობესების გზით, რაც უზრუნველყოფს პროგრამაში უფრო ლოგიკურ, სანდო და გამჭვირვალე შეფასების მიდგომების გამოყენებას, შესაბამისად, გაუმჯობესდეს სტუდენტის შეფასების მიდგომები პროგრამის სწავლის შედეგების მაფორმირებელ ძირითად სასწავლო კურსებში - „საწარმოო პრაქტიკა შრომის უსაფრთხოებაში“ და „საბაკალავრო ნაშრომი შრომის უსაფრთხოებაში“.

რეკომენდაცია 7. რეკომენდაცია იყო შემდეგი შინაარსის - განხორციელდეს აკადემიური პერსონალის კომპეტენციის ამაღლება უცხო ენაში (ინგლისურში). შედეგზე ორიენტირებით - პერსონალმა შეძლოს გამოიყენოს თანამედროვე დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა და დაამყაროს კავშირები უცხოელ კოლეგებთან, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს და ითვალისწინებს დაწესებულების მიმართებებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის უცხო ენების კომპეტენციების ასამაღლებლად. ამ მხრივ პროგრამის აკადემიური პერსონალის განვითარება საკვანძოა პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების დონეზე განსახორციელებლად. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და ხარისხის კულტურის განვითარების ფარგლებში უნდა შეაფასოს მის მიერ გაწეული საქმიანობის (უცხო ენის სწავლების) შედეგები და დასახოს გზები საკითხის გასაუმჯობესებლად, ისე, რომ პროგრამისათვის მიღწეულ იქნას შემდეგი - პერსონალმა შეძლოს გამოიყენოს თანამედროვე დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა და დაამყაროს კავშირები უცხოელ კოლეგებთან, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას და შემდგომ გაუმჯობესებას. ექსპერტთა ჯგუფს მოცემული რეკომენდაცია გადააქვს სასარგებლო რჩევაში და იმედოვნებს, რომ დაწესებულება (მისი ინტერესებიდან გამომდინარე) ამ რჩევას არ უგულვებელყოფს და გაითვალისწინებს.

რეკომენდაცია 8. (რეკომენდაცია 7 ამ დასკვნის მიხედვით) თავად პროგრამას, თვითშეფასებაში გასაუმჯობესებელ მხარედ აღნიშნული აქვს „უცხოელი პროფესორების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში (მათ შორის უკუკავშირის, რჩევების მიღების თვალსაზრისით)“, თუმცა ამ საკითხზე

თვითშეფასებაში არ არის წარმოდგენილი დაგეგმილი ღონისძიებები. შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციაა პროგრამის მიერ იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარისათვის დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები, რისთვისაც გათვალისწინებული და გამოყენებული იქნება სტუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერი მექანიზმები. მნიშვნელოვანია, რომ გეგმის შესრულება შეფასდეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენებით. შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი სახით.

რეკომენდაცია 9. რეკომენდაცია 11. (რეკომენდაცია 8 და 10 ამ დასკვნის მიხედვით) დაწესებულების პოზოცია ამ რეკომენდაციებზე ემთხვევა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. დაწესებულება ამ საკითხებს მნიშვნელოვან გამოწვევად თვლის და ამისათვის გადამწყვეტია რესურსების მობილიზება პროგრამის მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, ორივე რეკომენდაცია რჩება უცვლელი სახით.

რეკომენდაცია 10. (რეკომენდაცია 9 ამ დასკვნის მიხედვით) დასკვნის პროექტში სრულად და არგუმენტირებულადაა აღწერილი ამ რეკომენდაციის გაცემის მიზეზები. პროგრამის თვითშეფასებაში დაწესებულების მხრიდან გასაუმჯობესებელ მხარედ იდენტიფიცირებულია „ზოგიერთი სასწავლო კურსისათვის ძირითადი ლიტერატურის განახლება“, ხოლო გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად დაგეგმილ აქტივობებში და ვადებში წარმოდგენილია შემდეგი ჩანაწერი: „ზოგიერთი სასწავლო კურსისათვის ძირითადი ლიტერატურის განახლება“. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ამ საკითხზე პროგრამას არ აქვს სამოქმედო გეგმა, არ არის იდენტიფიცირებული რომელი კურსები საჭიროებენ პრიორიტეტულად ასეთი სამუშაოების ჩატარებას და რა ვადებში. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა მოცემული პროგრამისათვის 2020-2022 წლებში შექმნილი დარგობრივი ლიტერატურა, რომლის გადამოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ რიგი სალექციო კურსები სრულად ვერ ფარავს შესაბამისი სასწავლო კურსით განსაზღვრულ შინაარსს (მაგ. "მანქანათმშენებლობისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების უსაფრთხოება"), ასევე სალექციო სახელმძღვანელოების შემუშავებისას პერსონალი ნაკლებად ეყრდნობა დარგობრივი სფეროს თანამედროვე სტანდარტებსა (მაგ. ISO და ILO) და ლიტერატურას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, რეკომენდაცია რჩება უცვლელი სახით.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ მიზნები შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიას და სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მიზნებს, ამოცანებს და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

პროგრამის მიზნებში წარმოდგენილია პროგრამის ხედავ და მიმართება, რაც მოიცავს კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების საკვანძო აღწერას. მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ითვალისწინებს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში არსებულ მოთხოვნებს, ორიენტირებულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტების მომზადებისაკენ.

პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და დიზაინის განსაზღვრისათვის პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილია ანალოგი პროგრამები, შესრულებულია არსებული პროგრამების დადარება.

პროგრამის შეფასების პროცესში აკრედიტაციის ექპერტთა მიერ ყურადღება გამახვილდა პროგრამის დასახელებაზე - „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“, რომელიც ვიწრო ჩარჩოებში აქცევს პროგრამას და გარკვეულად, სრულად ვერ წარმოაჩენს დეტალური სფეროს „პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ მიმართებებს. დაწესებულების არგუმენტია ის, რომ პროგრამის დასახელების ცვლილება გამოიწვევს პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსების დაკარგვას, რადგან სჭირდება ხანგრძლივი პროცესი დასახელების მიხედვით სახელმწიფო დაფინანსების ცვლილებას.

აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში, ინტერვიუს ჩატარებისას გამოვლინდა, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია ყველა დაინტერესებული და ჩართული მხარის მიერ, ამასთან, დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის მიზნები პასუხობს მათ საჭიროებებსა და შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, ტენდენციებსა და გამოწვევებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება– <https://gtu.ge/AboutStu/regulation.php>
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია <http://gtu.ge/AboutStu/Mission.php>;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ <http://gtu.ge/pdf/Strategic> Plan for Development of gtu 20182024.pdf;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა შეცვალოს პროგრამის ამჟამინდელი სახელწოდება “საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა”, რადგან შრომის უსაფრთხოება არის მულტიპროფილური სფერო და შესაბამისად არ მოიცავს მხოლოდ საინჟინრო უსაფრთხოებას.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას განსაზღვრული აქვს ათი სწავლის შედეგი, რომლებიც ლოგიკურად არის ბმაში პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან. პროგრამის განმახორციელებელ გუნდს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრისა და დადგენისათვის გამოყენებული აქვს ცხრიკლის მატრიცა - ე.წ. „კურიკულუმის რუკა“, რომლიტაც ნაჩვენებია თითოეული სწავლის შედეგის კავშირი პროგრამის მიზნებთან.

სწავლის შედეგები ეყრდნობა სფეროების კლასიფიკატორში წარმოდგენილი დეტალური სფეროს - პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (1022) აღწერას და წარმოადგენს განაცხადს პროგრამის კურსდამთავრებულის ძირითადი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის შესახებ.

საბაკალავრო პროგრამა ანიჭებს პროფესიული უსაფრთხოების ბაკალავრის კვალიფიკაციას, სწავლის შედეგები კომპლექსურია და იძლევა კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებისა და განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს.

ორწლიან პერიოდში განახლებული და ახლებურადაა გააზრებული სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების მიმართებები, ასევე დადგენილია პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები.

პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია - პროგრამის გაცხადებული მიდგომებით თითოეული სწავლის შედეგისათვის განსაზღვრულია ე.წ. Performance Indicators (PI), რომელთა გაზომვაც შესაძლებელია სასწავლო კურსების მეშვეობით.

პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია - „კურიკულუმის რუკით“ წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების უზრუნველყოფი სასწავლო კურსები და მათი გრადაციები (1, 2, 3 -დონე).

ინტერვიუებით ირკვევა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შედგენა და მათი მიღწევადობის განსაზღვრა იყო თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც ჩართული იყო პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები)

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- სტუ-ს მეთოდური მითითება - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუ-ში შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც გამოიყენება მოცემული პროგრამის შემთხვევაში. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს ოთხ ეტაპს: 1. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება; 2. კურიკულუმის ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობაზე; 3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება; 4. შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მესამე ეტაპზე - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესისათვის პროგრამას განსაზღვრული აქვს გამოიყენოს კომპლექსური შეფასდება, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების კომბინაციით. პირდაპირი მეთოდების სახით გამოიყენება თითოეული სასწავლო კურსის შეფასება, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულებზე დადარება, საწარმოო პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, აკადემიური მოსწრების ანალიზი. არაპირდაპირი მეთოდების სახით გამოიყენება სხვადასხვა სახის კითხვარები, რომლებიც შედგენილია პროგრამაში ჩართული დაინტერესებული პირებისათვის: სტუდენტები, პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. მოცემული მიდგომებით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

საკრედიტაციო დოკუმენტების პაკეტში, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის პროგრამას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“, რომელშიც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ციკლი და პროცესების თანმიმდევრობა:

- 1-განსაზღვრება სასწავლო კურსები, რომელთა შეფასებაც უნდა განხორციელდეს შეფასების ციკლის მოცემულ ეტაპზე.

- 2-პროგრამის ხელმძღვანელი აგროვეს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს.
- 3-პროგრამის ხელმძღვანელი ანალიზებს სწავლის შედეგებს და ამზადებს განსახილველ საკითხებს (რომელიც აფასებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონეს).
- 4-პროგრამის ხელმძღვანელი აკეთებს ანგარიშს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შედეგების შესახებ.
- 5-პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კომისია (რომლის შემადგენლობაშიც შედის ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი და სხვ.) განიხილავს სწავლის შედეგების შეფასების შესახებ ანგარიშს, შეიმუშავებს სათანადო დასკვნებს და რეკომენდაციებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
- 6-დამტკიცებული რეკომენდაციები განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც განიხილავს ინიცირებულ საკითხებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების ორგანიზებას.
8. შეფასების ციკლის ბოლო ეტაპზე ხდება სათანადო ცვლილებების განხორციელება როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში, ასევე სასწავლო კურსების სილაბუსებში.

მოცემულ ეტაპზე, პროგრამის მოდერნიზების 2 წლიანი სამუშაოების პროცესში ჩატარებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში“. დოკუმენტის მიხედვით, შეფასებაში გამოყენებულია კომპლექსური მონაცემები, როგორცაა: აკადემიური მოსწრების ანალიზი პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისა და მისი მიღწევის უზრუნველყოფი სასწავლო კურსებში მიღებული შეფასებების მიხედვით, სტუდენტების თვითშეფასება სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტების თვითშეფასების მიხედვით პროგრამის მე-2, მე-3 და მე-6 სწავლის შედეგებს აქვთ ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებლები მიღწევადობის მხრივ. შესაბამისად, ჩატარებული ანალიზი ამ საკითხებზე უნდა ამახვილებდეს ყურადღებას და შემდგომში თვისობრივად უნდა სწავლობდეს. ასევე, სასწავლო კურსების აკადემიური მოსწრების მიხედვით სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზი უნდა გამოკვეთდეს იმ სწავლის შედეგებს, სადაც ყველაზე ნაკლები მაჩვენებელია დაფიქსირებული. მაგალითად, მე-4 სწავლის შედეგი, სადაც 70%-ზე მაღალი შეფასება მხოლოდ 52 %-ია (სამიხნე ნიშნული 60 %). მიღებული მონაცემების სწორი და ვალიდური ანალიზი მნიშვნელოვნად წაადგება პროგრამის შემდგომ განვითარებას და გაუმჯობესებას. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მონაცემების დამუშავება და ანალიზი განხორციელდეს კრიტიკული საკითხების იდენტიფიცირებაზე ორიენტირებულობით, რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების კომბინაციით.

ამასთან, ინტერვიუების პროცესის დროს გამოიკვეთა, რომ პერსონალისა და სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი არ იცნობდნენ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს. შესაბამისად, რეკომენდებულია დაინერგოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი ეცნობება პერსონალსა და სტუდენტებს შეხვედრების, ელექტრონული კომუნიკაციისა (მაგ. დოკუმენტის დაგზავნა კორპორატიულ ფოსტაზე, შეტყობინება სტუდენტურ პორტალზე) და სხვა გზების გამოყენებით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებისა და დანერგვისათვის იღებს მხარდაჭერას საუნივერსიტეტო სერვისებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებული ტრენინგებით, შეხვედრებითა და ინდივიდუალური/ჯგუფური კონსულტაციებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“

- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები).
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- დოკუმენტი „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“
- გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მონაცემების დამუშავება და ანალიზი განხორციელდეს კრიტიკული საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაზე ორიენტირებულობით, რადენობრივი და თვისობრივი მეთოდების კომბინაციით, ამასთან, დაინერგოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი ეცნობება პერსონალსა და სტუდენტებს შეხვედრების, ელექტრონული კომუნიკაციისა (მაგ. დოკუმენტის დაგზავნა კორპორატიულ ფოსტაზე, შეტყობინება სტუდენტურ პორტალზე) და სხვა გზების გამოყენებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც სრულადაა გამოყენებული წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

წარმოდგენილი პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, რაც სრულად შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს. პროგრამა აგებულია “სწავლის სფეროს კლასიფიკატორით” განსაზღვრული ერთ-ერთი პრინციპით: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი სახით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურით ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა არის 192, მათ შორის საწარმოო პრაქტიკა შრომის უსაფრთხოებაში - 10 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 5 კრედიტი, უცხო ენის კურსები სავალდებულოა (არჩევითია ენების მიხედვით) და წარმოდგენილია 20 კრედიტით, ხოლო ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები პროგრამაში წარმოდგენილია სამი ბლოკის სახით, ჯამში 10 კრედიტით, თავისუფალი კომპონენტები შეადგენს 18 კრედიტს.

პირობითი აკრედიტაციის პირობებში პროგრამის მოდერნიზების სამუშაოებში გათვალისწინებულია აკრედიტაციის გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა პროგრამის სტრუქტურის გაუმჯობესებას.

პროფესიული დაავადებების, პირველადი გადაუდებელი დახმარების, სამრეწველო ტოქსიკანტების მოქმედებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის პროგრამას დაემატა ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიის ზოგადი საბაზისო სასწავლო კურსი, ასევე სასწავლო კურსების „სამრეწველო ტოქსიკოლოგია“ და „შესავალი ფსიქოლოგიაში“ სტატუსი გახდა სავალდებულო. პროგრამას დაემატა ახალი ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსი „ორგანული ქიმიის მოკლე კურსი“. ამასთან, განხორციელებულია ცვლილება - სასწავლო კურსის „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა“ ძირითადი სწავლის სფეროს საგნებიდან გადავიდა თავისუფალ კომპონენტებში. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მოცემული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელია საინჟინრო გრაფიკისა და ხაზვის სავალდებულო სტატუსით სწავლება. აღნიშნულ პოზიციას ასევე დაეთანხმნენ განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სტატუსით გათვალისწინებულ იქნას საინჟინრო გრაფიკის სასწავლო კურსი.

წარმოდგენილი სტრუქტურითა და შინაარსით პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურა მეტწილად თანმიმდევრულია. ლოგიკურობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია, რომ პროგრამას სასწავლო კურსებისათვის განსაზღვრული აქვს მათი როლი სწავლის შედეგებთან მიმართებით სამდონიანი შკალის მიხედვით (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება). თუმცა გარკვეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები წარმოდგენილია კომპლექსურად და არ წარმოადგენს საბაზისო სასწავლო კურსის (1-გაცნობა) შესაბამის განაცხადს. მაგალითად,

„საწარმოო ავარიები და კატასტროფები“ ისწავლება მე-3 სემესტრში და „კურიკულუმის რუკის“ თანახმად წარმოადგენს 1-დონის სასწავლო კურსს. თუმცა სწავლის შედეგები კომპლექსურია და არ შეესაბამება „1-გაცნობა“ დონეს. მაგალითად, კურსის სწავლის შედეგებია:

- ანალიზებს ტექნოლოგიური პროცესის პარამეტრებს და აკეთებს დასკვნას ტექნიკური სისტემების წესიერულობისა და მოსალოდნელი ავარიული სიტუაციის შესახებ;
- ანგარიშობს საწარმოო ავარიისა და კატასტროფის შემთხვევაში მოწამვლის ზონის სიღრმესა და ფართობს, გარღვევის ტალღის გავრცელების მანძილს, ადამიანების შესაძლო დანაკარგს და აფასებს შექმნილ სიტუაციაში გასატარებელ ღონისძიებებს;
- შეარჩევს ავარიული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით ავარიის შემთხვევისათვის აუცილებელი კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს;
- აკეთებს ავარიის შედეგების პროგნოზირებას და გეგმავს მისი ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის ღონისძიებებს;
- ამზადებს ტექნოგენური ავარიების თავიდან აცილების ან მინიმუმამდე შემცირების ღონისძიებების გეგმას.

„საწარმოო სანიტარია“ ისწავლება მე-4 სემესტრში და „კურიკულუმის რუკის“ თანახმად წარმოადგენს 1-დონის სასწავლო კურსს. თუმცა სწავლის შედეგები აქაც კომპლექსურია:

- განიხილავს საწარმოო ობიექტებისადმი, სათავსებისადმი, სასაწყობე მეურნეობებისადმი წაყენებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს, საწარმოებში სავენტილაციო, განათების, წყალმომარაგების სისტემების უავარიო ფუნქციონირების საკითხებს.
- ანგარიშობს ტრავმატიზმით მიყენებულ ზარალს, საწარმოო სათავსებში ჰაერცვლის ჯერადობას.
- ანალიზებს მრეწველობის სხვადასხვა დარგში შრომის სანიტარიულ პირობებს, საწარმოო სათავსებში მიწოდებული ჰაერის სქემებს.

რეკომენდებულია გაუმჯობესდეს პროგრამაში შემავალი კურსების „საწარმოო ავარიები და კატასტროფები“, „საწარმოო სანიტარია“, შინაარსი და სწავლის შედეგების განაცხადი პროგრამაში მათი ადგილის, წინაპირობების, ლოგიკურობისა და თანმიმდევრულობის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები).

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- დოკუმენტი „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“
- გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სტატუსით გათვალისწინებულ იქნას საინჟინრო გრაფიკის სასწავლო კურსი.
- რეკომენდებულია გაუმჯობესდეს პროგრამაში შემავალი კურსების „საწარმოო ავარიები და კატასტროფები“, „საწარმოო სანიტარია“, შინაარსი და სწავლის შედეგების განაცხადი პროგრამაში მათი ადგილის, წინაპირობების, ლოგიკურობისა და თანმიმდევრულობის გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კურსები თავისი შინაარსით და სწავლის შედეგებით შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს.

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილია კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა), რომელიც შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. როგორც კრედიტების, ასევე საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობის განსაზღვრა ეფუძნება პროგრამის განხორციელების მრავალწლიან გამოცდილებას, ითვალისწინებს სასწავლო კურსის შინაარსს, შეფასებისა და სწავლა-სწავლების პროცესის საჭიროებებს.

ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო კურსი, რომელიც მნიშვნელოვანია პროგრამის საბოლოო სწავლის შედეგების ფორმირება-შეფასებისათვის არის საბაკალავრო ნაშრომი. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში წარმოდგენილია სტუდენტის სამუშაოსა და დავალებების აღწერა, რაც მისადაგებულია დარგობრივი სფეროს მოთხოვნებთან. თუმცა მოცემული კურსი საჭიროებს გაუმჯობესებას, რადგან კურსის შინაარსი და საბაკალავრო ნაშრომის შესრულების მეთოდური მითითებები ნაკლებად ასახავს მოთხოვნებს ნაშრომის შინაარსის, ფორმატის, აკადემიური წერის სტილისა და ციტირების წესების შესახებ. შესაბამისად, სტუდენტის მიერ საკურსო სამუშაოსა და საბაკალავრო ნაშრომების ხარისხიანად შესრულების მიზნით, რეკომენდებულია, შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს საკურსო სამუშაოსა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და წარდგენის ზუსტი ინსტრუქციები, რომელშიც ასახული იქნება მოთხოვნები ნაშრომის შინაარსის, ფორმატის, აკადემიური წერის სტილისა და ციტირების წესების შესახებ.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა მეტწილად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, აკრედიტაციის ექსპერტები პროგრამის წინა შეფასებაშიც ავლნიშნავდით, რომ სასწავლო კურსებისათვის ეროვნულ დონეზე არსებობდა ქართულენოვანი ლიტერატურა და საკანონმდებლო აქტები, რომლის გამოყენება მნიშვნელოვანი იყო სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. მოცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია პროგრამის გარკვეულ სასწავლო კურსებში, თუმცა პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დარგობრივი სფერო სპეციფიურია, რადგან ეს სფერო იმართება და რეგულირდება სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტებითა და რეგულაციებით, განსაკუთრებით ISO და ILO სტანდარტებით. სასწავლო კურსების სალექციო სახელმძღვანელოების შემუშავებისას პერსონალი ნაკლებად ეყრდნობა მოცემულ თანამედროვე სტანდარტებსა და ლიტერატურას. ასევე, მოცემული პროგრამისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტებს ასწავლოს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული მზომი ხელსაწყოების გამოყენების სფეციფიკა, გაზომვების განხორციელება და დოკუმენტირება. რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსებში გაძლიერდეს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტების და რეგულაციების სწავლება (მათ შორის სასწავლო ლიტერატურის განახლებით), ასევე თანამედროვე მზომი ხელსაწყოების გამოყენების სფეციფიკის, გაზომვების განხორციელებისა და დოკუმენტირების საკითხების სწავლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები).
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- სტუდენტის მიერ საკურსო სამუშაოსა და საბაკალავრო ნაშრომების ხარისხიანად შესრულების მიზნით, რეკომენდებულია, შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს საკურსო სამუშაოსა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და წარდგენის ზუსტი ინსტრუქციები, რომელშიც ასახული იქნება მოთხოვნები ნაშრომის შინაარსის, ფორმატის, აკადემიური წერის სტილისა და ციტირების წესების შესახებ.
- რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსებში გაძლიერდეს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტებისა და რეგულაციების სწავლება (მათ შორის სასწავლო ლიტერატურის განახლებით), ასევე მზომი ხელსაწყოების გამოყენების სფეციფიკის, გაზომვების განხორციელებისა და დოკუმენტირების საკითხების სწავლება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ დაშვების წინაპირობებში მითითებულია, რომ „ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

დამატებითი ინფორმაცია პროგრამის შესახებ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

გარე მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

შიდა მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე, როგორც სიახლეების ველში, ასევე სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://gtu.ge/Study-Dep/> ფაკულტეტის ვებგვერდზე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია. ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია და ნებისმიერი საკითხის კონსულტაცია როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ (დანართი 1);
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) (დანართი 1);
- ფაკულტეტის ვებ-გვერდი <http://gtu.ge/Mining/>
- ინტერვიუს შედეგი.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია მემორანდუმები, რომელიც გაფორმებულია სხვადასხვა მსხვილ კომპანებთან. მემორანდუმის ფარგლებში შესაძლებელია სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე გავლა და ზედამხედველობის პროცესში ჩართვა. პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტებს ხელმძღვანელობს სტუ-ს აკადემიური პერსონალი და პრაქტიკის განმახორციელებელი კომპანიიდან გამოყოფილი პირი.

აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლებთან შეხვედრისას დადასტურდა, რომ სტუდენტების პრაქტიკის და შემოქმედებით საქმიანობაში სრულიად ჩართულები არიან როგორც უნივერსიტეტი, ისე დამსაქმებლები.

უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს უზრუნველყოფს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს. შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან (დანართი 8);
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციის მართვა“ (დანართი 1);
- ინტერვიუს შედეგი.

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული, საკურსო სამუშაო/პროექტი, პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია.

სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემულია სწავლება - სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ჯგუფური (collaborative) მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირება, დედუქციური, ინდუქციური, ანალიზი, სინთეზი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, წერითი მუშაობა, ახსნა-განმარტება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია. თითოეულ სასწავლო კურსში სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ვინაიდან ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში უნიფიცირებულად წარმოდგენილია სწავლების ყველა ზემოაღნიშნული მეთოდი, ლექტორს აქვს აკადემიური თავისუფლება გამოიყენოს ნებისმიერი მათგანის კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამის განხორციელებისას უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია ელექტრონული (დისტანციური) სწავლების მეთოდი, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა კოვიდ-პანდემიის პერიოდშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ (დანართი 1);
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები) (დანართი 1);
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 12);
- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები [https://gtu.ge/quality/Files/Pdf/metodebi%20da%20aqtivobebi%20\(1\).pdf](https://gtu.ge/quality/Files/Pdf/metodebi%20da%20aqtivobebi%20(1).pdf)

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია, სადაც გაწერილია სტუდენტის შეფასება სასწავლო კომპონენტში (განახლებულია 12.10.2020 №01-05-04/145) და სტუდენტის შეფასება სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის, რომელთათვისაც სილაბუსის გაცნობა ხდება როგორც პედაგოგის მიერ კურსის დასაწყისში, ასევე სტუ-ს ვებ-გვერდზე არსებულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის საშუალებით. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის

შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა და შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას.

სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია ასევე მოიცავს მუხლს სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის შესახებ (28.06.2019 №01-05-04/177). აღნიშნული შესაძლებლობების სრულადაა ხელმისაწვდომი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის და მდგრადადაა დანერგილი პრაქტიკაში. სასწავლო პროცესითა და მისი მართვის სისტემით უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებისა და დანერგვისათვის იღებს მხარდაჭერას საუნივერსიტეტო სერვისებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებული ტრენინგებით, შეხვედრებითა და ინდივიდუალური/ჯგუფური კონსულტაციებით.

რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში გაცხადებულია, რომ, სტუდენტების შეფასებისათვის გამოიყენება ე.წ. სკალირებული ქულები, რომლებიც მრავლდება გარკვეულ კოეფიციენტებზე.

მაგალითად, „საწარმოო პრაქტიკა შრომის უსაფრთხოებაში“ დასკვნითი გამოცდისათვის გამოიყენება 40 ქულიანი შეფასება, რომლისთვისაც გაწერილია 5 ქულიანი შეფასების კრიტერიუმები. ხოლო შემდეგ მიღებული ქულები მრავლდება 8-ზე. ამ მიდგომებით, სტუდენტს შეუძლია მიიღოს მხოლოდ 8-ის ჯერადი ქულები. მინიმალური შეფასების ზღვარი კი 10 ქულაა, რაც ეწინააღმდეგება სტუ-ს დადგენილებას 15-ქულიანი ზღვარის შესახებ.

სკალირებული ქულების (5-ის ჯერადი) მიდგომებია გამოყენებული საბაკალავრო ნაშრომის დასკვნითი შეფასებისას.

დაწესებულებას გასაუმჯობესებელი აქვს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესში წარმოდგენილი შეფასების მიდგომები. საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასებისათვის გამოიყენება სკალირებული ქულა, რომელიც მიიღება 5 ქულიანი შეფასების კრიტერიუმით მიღებული შეფასების 6-ზე გამრავლებით. ამ კომპონენტში მაქსიმალური შეფასება შეადგენს 30 ქულას, ხოლო ზღვრულ მინიმალური დადებით შეფასებად განსაზღვრულია 15 ქულა, მაშინ, როდესაც ამ მიდგომებით შეფასება არის 6 ბიჯიანი ანუ ვერასდროს იქნება 15, სამაგიეროდ იქნება 12 ან 18.

ასეთივე მიდგომებით, საბაკალავრო ნაშრომის დაცვისათვის გამოიყენებულია სკალირებული ქულა, რომელიც მიიღება სამი სხვადასხვა კომპონენტიდან (შინაარსი და გაფორმება, პრეზენტაცია, კითხვა-პასუხი) მიღებული ქულების (მაქსიმალური 14 ქულა) ნამრავლით 5-ზე. შესაბამისად, მაქსიმალური შეფასებაა 70 ქულა, ხოლო ამ კომპონენტისთვის დადგენილი მინიმალური დადებითი შეფასება არის 21, მაშინ, როდესაც ამ მიდგომებით შეფასება არის 5 ბიჯიანი ანუ ვერასდროს იქნება 21, სამაგიეროდ იქნება 20 ან 25.

ასეთივე მიდგომაა წარმოდგენილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესშიც, რომლის მიხედვით „დასკვნითი გამოცდის (დაცვის) მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის შეადგენს მაქსიმალური შეფასების 25%-ს, ხოლო მაგისტრანტებისათვის – 50%-ს. შეფასების სკალირებული ქულა მიიღება ფორმულით $S=8 \times M$, სადაც M არის შეფასების კრიტერიუმების თანახმად მიღებული ქულა“.

მოცემული წესის მიხედვით დასკვნითი შეფასების 40 ქულის 25% არის 10 ქულა, რაც ეწინააღმდეგება სტუ-ს დადგენილებას 11-ქულიანი ზღვარის შესახებ. ამასთან, 8 ქულიანი ბიჯით შესაძლებელია მირებულ იქნას შემდეგი შეფასებები - 8 ან 16, რაც გამოყენებულ მიდგომას არალოგიკურს ხდის.

მოცემული საუნივერსიტეტო რეგულაციების გათვალისწინებით, პროგრამაში წარმოდგენილი კურსისათვის „საწარმოო პრაქტიკა შრომის უსაფრთხოებაში“ დასკვნითი გამოცდისათვის გამოიყენება 40 ქულიანი შეფასება, რომლისთვისაც გაწერილია 5 ქულიანი შეფასების კრიტერიუმები. ხოლო შემდეგ მიღებული ქულები მრავლდება 8-ზე. ამ მიდგომებით, სტუდენტს შეუძლია მიიღოს მხოლოდ 8-ის ჯერადი ქულები. მინიმალური შეფასების ზღვარი კი 10 ქულაა, რაც ეწინააღმდეგება სტუ-ს დადგენილებას 11-ქულიანი ზღვარის შესახებ.

პროგრამის სწავლის შედეგების მაფორმირებელი ძირითადი სასწავლო კურსებისათვის - „საწარმოო პრაქტიკა შრომის უსაფრთხოებაში“ და „საბაკალავრო ნაშრომი შრომის უსაფრთხოებაში“ დასკვნითი შეფასების კრიტერიუმები და შეფასების მიდგომები გასაუმჯობესებელია, ამასთან, ნათლად და კონკრეტულად უნდა გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ (დანართი 1);
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები) (დანართი 1);
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 12);
- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები [https://gtu.ge/quality/Files/Pdf/metodebi%20da%20aktivobebi%20\(1\).pdf](https://gtu.ge/quality/Files/Pdf/metodebi%20da%20aktivobebi%20(1).pdf)
- საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების წესი. <https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/2sabalavro %20nashromi %202019 SD.pdf>
- სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესი. <https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/praktika 18 SD.pdf>

რეკომენდაციები:

- მოდერნიზდეს საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შეფასებისათვის დადგენილი საუნივერსიტეტო რეგულაცია შეფასების მიდგომების გაუმჯობესების გზით, რაც უზრუნველყოფს პროგრამაში უფრო ლოგიკურ, სანდო და გამჭვირვალე შეფასების მიდგომების გამოყენებას, შესაბამისად, გაუმჯობესდეს სტუდენტის შეფასების მიდგომები პროგრამის სწავლის შედეგების მაფორმირებელ ძირითად სასწავლო კურსებში - “საწარმოო პრაქტიკა შრომის უსაფრთხოებაში” და “საბაკალავრო ნაშრომი შრომის უსაფრთხოებაში”.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების მთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდამჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდამჭერას პროგრამაში ჩართული პირებისა და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მხრიდან.

აკრედიტაციის ვიზიტისას სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტები სათანადოდ არიან ინფორმირებული არსებული შესაძლებლობების შესახებ. სტუდენტებს ეძლევათ ინფორმაცია შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ, რათა, სურვილის შემთხვევაში, მოხდეს სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ კომპანია „რიჩ მეტალს გრუპი“ (RMG) წარჩინებულ სტუდენტებს უნიშნავს სტიპენდიას. ამასთან, „რიჩ მეტალს გრუპი“ სტუდენტებისათვის ატარებს „საზაფხულო სკოლას“ და მათ შორის წარჩინებულებს ტოვებს სტაჟირების გასაველელად.

სტუდენტური სერვისების ფარგლებში, ყველა დაინტერესებულ პირს ეძლევა ინფორმაცია, როგორც აკადემიური მიმართულებით, ისე კურიკულუმს გარე და სტუდენტური ცხოვრების აქტივობების ირგვლივ საჭირო საკითხების მიმართულებით. პროგრამის სტუდენტებს სწავლის დაწყებამდე უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომელის ფარგლებშიც მიეწოდებათ ძირითადი ინფორმაცია პროგრამების შესახებ.

ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებ-გვერზე და თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. ფაკულტეტის დეკანატისა და შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის.

სამთო - გეოლოგიურ ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის შეფასების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად შექმნილია საფაკულტეტო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აკადემიურ პერსონალთან ერთად არის სტუდენტიც.

უსდ-ში აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდულ შეფასებაზე.

სტუდენტები იღებენ მენეჯერის აპარატისგან ინფორმაციას შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან და სტუდენტურ დასაქმებასთან დაკავშირებით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში დამსაქმებელთა მოთხოვნების საფუძველზე იქმნება სტუდენტთა პორტფოლიოების ერთიანი ბაზა, რომელიც დამსაქმებელს შესაძლებლობას მისცემს წინასწარ მიიღოს ინფორმაცია მომავალი თანამშრომლის პიროვნული და პროფესიული უნარ-ჩვევების შესახებ და ჩაერთოს საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების პროცესში სისტემაში დანერგილი

მექანიზმის მეშვეობით მათთან რეგულარული და სრულფასოვანი უკუკავშირის მიღების საფუძველზე.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს: დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს; კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის პედაგოგთან ელექტრო შეტყობინების მეშვეობით; ნახოს აკადემიური ჯგუფების ცხრილი; პედაგოგების ცხრილი და აუდიტორიების/ლაბორატორიების დატვირთვა. აგრეთვე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ (ადმინისტრაციული საკითხები, სხვადასხვა გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად დაგეგმილი აქტივობები, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ და სხვ.) ინფორმაცია.

ლექტორსა და სტუდენტს შორის უზრუნველყოფილია მუდმივი კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტის საშუალებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულება ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტაციებს. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თუ შესაბამისი სამსახურების დებულებებით გათვალისწინებული ფუნქციები ასევე მიმართულია კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერისაკენ. შეფასებების ასახვისა და პროფესორებისა და ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტების ინფორმირებისათვის კი გამოიყენება სპეციალური შიდა საუნივერსიტეტო ელექტრონული პორტალი.

სტუ-ში დანერგილია ახალი ელექტრონული ბაზა <https://vici.gtu.ge/>, რომელიც სტუდენტებს მრავალფეროვან ფუნქციას სთავაზობს, კერძოდ: 1. პირადი ინფორმაცია - პირადი ნომერი; მობილური ტელეფონი; იმეილი; სემესტრი; GPI; კრედიტების რაოდენობა როგორც გავლილი, ასევე მიმდინარე; საშუალო შეწონილი ქულა; რომელ პროგრამაზე სწავლობს, პროგრამაზე ჩარიცხვის წელი; 2. შეფასება-სასწავლო ბარათი; 3. ხედავს როგორც პროგრამის კურიკულუმს, ასევე სილაბუსებს; 4. ლინკზე გადასვლით შეუძლია ელექტრონულ სწავლების სისტემაზე (<https://elearning.gtu.ge/>) გადასვლა; 5. ლინკზე გადასვლით ცხრილების ნახვა; 6. ლექტორისგან ან დეკანატიდან შეტყობინების მიღება და შეტყობინების გაგზავნა, ასევე შეუძლია ფოლდერის ატვირთვა; 7. ხედავს ფინანსურ მდგომარეობას როგორც მიმდინარეს, ასევე გასული სასწავლო წლების; 8. ვიზუალიზირებული GPI-ის დინამიკა. 9. ერთიანი წესით დეკანატისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან განცხადებების ნახვა; 10. შესაძლებელია სტუდენტთა გამოკითხვები; 11. ელექტრონული კანცელარია.

საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტისთვის სწავლების ინდივიდუალური გრაფიკის დანიშვნას და ასევე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენას.

უნივერსიტეტში სისტემატურად ხორციელდება სხვადასხვა სახის შემეცნებითი ღონისძიებები. სტუდენტებს აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ სტუდენტთა ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. გამოიყენა შრომების თეზისების კრებული, რომელშიც იბეჭდება კონფერენციაში მონაწილე თითოეული სტუდენტის ნაშრომის ქართულ და ინგლისურენოვანი თეზისები. მონაწილეთა შორის არიან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ სტუდენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- ინტერვიუ პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან;
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- სილაბუსები;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 24 მარტის №38/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N 133/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე <https://gtu.ge/AboutStu/regulation.php>;

- სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა https://leqtori.gtu.ge/2022_2023/I/B/info;
- სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დებულება https://gtu.ge/Mining/Faculty/The_faculty_provision.pdf;
- კომპანია RMG-ს მიერ გამოცხადებული სასტიპენდიო კონკურსი <https://gtu.ge/News/20995/>;
- კომპანია RMG-ს ყოველწლიური საზაფხულო სკოლა <https://www.richmetalsgroup.com>;
- ფაკულტეტის ვებ-გვერდი <https://gtu.ge/Mining/>.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უნივერსიტეტმა გამოიყენოს მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და მექანიზმები, რომლებიც გაზრდის პროგრამის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში აქტიურ ჩართულობას.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მოცემული კომპონენტი არ ფასდება ექსპერტების მიერ, რადგან პროგრამა საბაკალავრო საფეხურისაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები -

რეკომენდაციები:-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც შედგება პროფესორების, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორებისაგან. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციებით დადგენილ სტანდარტებთან. როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით: მონოგრაფიები, რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები. ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობით. სტუ-ში აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც გამჭვირვალეა და შეესაბამება თანასწორობისა და სამართლიანი კონკურსის პრინციპებს. კონკურსს ნიშნავს და აცხადებს სტუ-ს აკადემიური საბჭო. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს ირჩევს საკონკურსო კომისია.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესრულებას და პროგრამის მდგრადობას.

დაწესებულების პრაქტიკაში დანერგულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. რაც შეეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის ადეკვატურობას სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში, ეს მაჩვენებელი (ერთ პროფესორზე 3 სტუდენტი) მეტწილად დაბალანსებულია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია საბაზისო ცოდნა პროგრამის შემუშავებისათვის და მრავალწლიანი გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით.

პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, აქტიურად არის ჩართული პროგრამის შეფასება-განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებაში და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსაზღვრულ ფუნქციებს.

პროგრამის წინა სააკრედიტაციო შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფი დასკვნაში აღნიშნავდა, რომ „აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელებაში არ არის მითითებული ასისტენტი და/ან ასისტენტ-პროფესორი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და შემდგომი დაწინაურებისათვის, ასევე პროგრამის მდგრადობისათვის“. ბოლო ორი წლის მანძილზე პროგრამის განხორციელებაში გაიზარდა ახალგაზრდა პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი, მათ შორის ამავე მიმართულების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა ჩართულობა.

პროგრამაში პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, სამეცნიერო, პერსონალი)	ჩართული რაოდენობა (მათ აკადემიური, მოწვეული)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი		52			
- პროფესორი		26	17	17	17
- ასოცირებული პროფესორი		23	12	12	12
- ასისტენტ-პროფესორი		3	1	1	1
- ასისტენტი					
მოწვეული პერსონალი		4			-
სამეცნიერო პერსონალი					-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- განმხორციელებელი პერსონალის CV და სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, პროგრამის განხორციელებაში მოიწვიეთ და ჩართეთ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ დარგის შესაბამის ცოდნას და აქვთ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მოცემული კომპონენტი არ ფასდება ექსპერტების მიერ, რადგან პროგრამა საბაკალავრო საფეხურისაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

-

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლები, საგანმანათლებლო და კვლევითი/სამეცნიერო პროცესის ეფექტიანად წარმართვის ხელშეწყობისათვის შემუშავებულია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია“. აღნიშნულ სტრატეგიაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა უნივერსიტეტში ისეთი გარემოს უზრუნველყოფა, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობები გამომდინარეობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვისათვის განსაზღვრული წესებიდან, რომელიც მოიცავს სამართლიანი და ეფექტიანი დასაქმების პოლიტიკის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობას, თანამშრომელთა შეფასებას და მათ პროფესიული განვითარებისა და გადამზადების პროცესებს.

ადამიანური რესურსის პროფესიული საქმიანობის შეფასების მიზნით, სტუ-ში ფუნქციონირებს საფაკულტეტო კომისიები, რომლებსაც სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად ევალება აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება. საფაკულტეტო კომისიას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დადგენილი ფორმით წარმოდგენილი შეფასებების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ამზადებს დასკვნას და გადასცემს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდგომი რეაგირებისათვის.

ასევე, სტუ-ში ყოველწლიურად ხორციელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის შედეგების შეკრება და შეფასება. აღნიშნულ პროცესში ჩართულნი არიან დეპარტამენტის ხელმძღვანელები და პროგრამების კოორდინატორი, რომლებიც უზრუნველყოფენ წლიური სამეცნიერო ანგარიშის წარდგენისათვის დეპარტამენტის ყველა თანამშრომლისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დოკუმენტის მომზადებას. აღნიშნულ დოკუმენტში თავმოყრილია დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, საქართველოში და/ან უცხოეთში გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციები; საქართველოში ან/და უცხოეთში სამეცნიერო ფორუმებში, სემინარებში, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში მონაწილეობა;

ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების სტიმულირება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხდება რამდენიმე მიმართულებით. შიდა რეგულაციები უზრუნველყოფენ პერსონალის სამსახურში მიღების გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევნების ჩატარების შესახებ ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ამასთან, სტუ-ის მკაფიოდ აქვს განსაზღვრული აკადემიური/სამეცნიერო მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამუშაოს აღწერილობების, ფუნქციებისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

სტუ-ში ხელშეწყობილია და ფინანსურად უზრუნველყოფილი აკადემიური-სამეცნიერო პერსონალის აქტიური ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვორკშოპების, ტრენინგების, გამოფენების და სხვა სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება-მუშაობაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში.

პერსონალი საკუთარ მიღწევების შესახებ ინფორმაციას განათავსებს მეცნიერული მიღწევების პერსონალურ გვერდზე, რომელიც ქმნის ბაზას (<http://my.gtu.ge/>) აღნიშნული ბაზიდან პერსონალის მეცნიერული აქტივობის შესახებ ინფორმაციას პერიოდულად ავასებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიის მიერ პერმანენტულად ტარდება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების შემოწმება, ვასდება რეალური სიტუაცია და კეთდება შესაბამისი დასკვნები.

შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში აქტუალურია სწავლების ხარისხის ამაღლება, სასწავლო მასალის ეფექტიანად გადაცემა სტუდენტებისთვის, ფაკულტეტის 6 პროფესორი გადაიზარდა ტრენერთა ტრენინგის მეშვეობით „სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიასა“ და „ეფექტური კომუნიკაციის მეთოდებში“.

სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე სისტემატურად ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 1998 წლიდან გამოდის სამეცნიერო, საინჟინრო, საინფორმაციო, ანალიზური, რეფერირებადი „სამთო ჟურნალი“, ხოლო 2000 წლიდან საერთაშორისო სამეცნიერო - ტექნიკური, საინფორმაციო-ანალიზური, რეფერირებული ჟურნალი „საქართველოს ნავთობი და გაზი“, რომლებშიც რეგულარულად იბეჭდება როგორც ფაკულტეტის თანამშრომლების, ასევე დარგის ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების სტატიები.

დეპარტამენტში ბოლო 5 წლის განმავლობაში მომზადდა და გამოიცა 14 სახელმძღვანელო, 3 მეთოდური მითითება, 17 ელექტრონული სასწავლო კურსი, 6 მონოგრაფია, 98 სამეცნიერო შრომა.

პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეებით დასტურდება, რომ მათ პროფესიული განვითარების მიზნით მონაწილეობა აქვთ მიღებული სხვადასხვა ტრენინგებში, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში. 2021 და 2022 წელს დეპარტამენტის პროფესორებმა ო. ლ. და ნ. მ., ასოცირებულმა პროფესორმა ზ. ხ. მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციებში, რომლებიც ჩატარდა სომხეთში, რუმინეთში და სერბეთში. პროფესორი ომარ ლანჩავა არჩეულ იქნა ბალკანეთის სამთო მეცნიერებათა აკადემიის და რუმინეთის ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად. დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნინო რატიაშვილმა 2021 წელს მონაწილეობა მიიღო თურქეთში, შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო კონფერენციაში.

პროგრამის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ „საერთო ჯამში, შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის პერსონალის განვითარების მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია, ხასიათდება აქტივობის მზარდი დინამიკით, თუმცა საჭიროა მეტი

ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებსა და, განსაკუთრებით, ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. საგამომცემლო საქმიანობასა და საერთაშორისო ტრენინგებში“.

მისასალმებელია უნივერსიტეტის მართვის პრაქტიკაში დანერგილი აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა, რაც გამოიხატება ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვორქშოპების, ტრენინგების, გამოფენების და სხვა სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება-მუშაობაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში. თუმცა პროგრამის გამოწვევაა აკადემიური პერსონალის კომპეტენციის ამაღლება უცხო ენაში (ინგლისურში), რათა მათ შეძლონ გამოიყენონ თანამედროვე დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა და დაამყარონ კავშირები უცხოელ კოლეგებთან, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას. თავად პროგრამას, თვითშეფასებაში გასაუმჯობესებელ მხარედ აღნიშნული აქვს შემდეგი: „უცხოელი პროფესორების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში (მათ შორის უკუკავშირის, რჩევების მიღების თვალსაზრისით)“ შესაბამისად, ამ მიზნით, ექსპერტთა რეკომენდაციაა პროგრამის მიერ იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარისათვის დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები, რისთვისაც გათვალისწინებული და გამოყენებული იქნება სტუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერი მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის CV, დიპლომი, სამეცნიერო შრომები და კონფერენციებში მონაწილეობის მონაცემები;
- სტუ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია;
- აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი.
- სტუ-ს დადგენილება „პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“.

რეკომენდაციები:

- შემუშავდეს მწყობრი გეგმა გასაუმჯობესებელი მხარის „უცხოელი პროფესორების ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში (მათ შორის უკუკავშირის, რჩევების მიღების თვალსაზრისით)“ აქტივობებისათვის, პრაქტიკულად განხორციელდეს ინტერნაციონალიზაციის აქტივობები პროგრამის დარგობრივი მიმართულებით, რომელშიც გამოყენებული იქნება სტუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მხარდამჭერი მექანიზმები და რომლის შესრულება შეფასდება PDCA-ციკლის გამოყენებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- განხორციელდეს აკადემიური პერსონალის კომპეტენციის ამაღლება უცხო ენაში (ინგლისურში), შედეგზე ორიენტირებით - პერსონალმა შეძლოს გამოიყენოს თანამედროვე დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა და დაამყაროს კავშირები უცხოელ კოლეგებთან, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ ძირითადად ხორციელდება სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სწავლება/სწავლის პროცესში არსებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. კერძოდ, ინტერნეტითა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი საკონფერენციო და საპრეზენტაციო დარბაზები, აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა.

საბაკალავრო პროგრამა ძირითადად უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

ვიზიტის დროს გადამოწმდა ბიბლიოთეკაში განთავსებული სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც მეტწილად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის თვითშეფასებაში დაწესებულების მხრიდან გასაუმჯობესებელ მხარედ იდენტიფიცირებულია „ზოგიერთი სასწავლო კურსისათვის ძირითადი ლიტერატურის განახლება“, ხოლო გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად დაგეგმილ აქტივობებში და ვადებში წარმოდგენილია შემდეგი ჩანაწერი: „ზოგიერთი სასწავლო კურსისათვის ძირითადი ლიტერატურის განახლება“. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ამ საკითხზე პროგრამას არ აქვს სამოქმედო გეგმა, არ არის იდენტიფიცირებული რომელი კურსები საჭიროებენ პრიორიტეტულად ასეთი სამუშაოების ჩატარებას და რა ვადებში. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა მოცემული პროგრამისათვის 2020-2022 წლებში შექმნილი დარგობრივი ლიტერატურა, რომლის გადამოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ რიგი სალექციო კურსები სრულად ვერ ფარავს შესაბამისი სასწავლო კურსით განსაზღვრულ შინაარსს (მაგ. "მანქანათმშენებლობისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების უსაფრთხოება"), ასევე სალექციო სახელმძღვანელოების შემუშავებისას პერსონალი ნაკლებად ეყრდნობა დარგობრივი სფეროს თანამედროვე სტანდარტებსა (მაგ. ISO და ILO) და ლიტერატურას. შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამის მიერ შეფასდეს დარგობრივი ლიტერატურის განახლების საჭიროებები და სასწავლო კურსების სახელმძღვანელოების შემუშავებისას ძირითად ლიტერატურად გამოყენებულ იქნას დარგობრივი სფეროს თანამედროვე სტანდარტები და ლიტერატურა.

პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფილია მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. ეს რესურსები უმეტესწილად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა მატერიალური და ტექნიკური რესურსები მნიშვნელოვნადაა გასახლებელი. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა მატერიალური რესურსების მუდმივად განვითარებისა და სრულყოფისათვის, ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის შემდგომი მოდერნიზებისათვის.

პროგრამის თვითშეფასებაში დაწესებულების მხრიდან გასაუმჯობესებელ მხარედ იდენტიფიცირებულია „პროგრამისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერმანენტული განახლება“, რისთვისაც დაწესებულებას საჭიროება შესაბამისი თანხების მობილიზება ბიუჯეტში. მნიშვნელოვანია მოძველებული მატერიალური რესურსის, აპარატურისა და ლაბორატორიების განახლება, რადგან მოცემული პროგრამისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტებს ასწავლოს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული მზომი ხელსაწყოების გამოყენების სფერო, გაზომვების განხორციელება და დოკუმენტირება. პროგრამის ფარგლებში არსებობს თანამშრომლობა სამრეწველო სექტორთან, რომლის გამოყენებით, RMG-ის დაფინანსებით შეძენილია გარკვეული ხელსაწყოები, თუმცა ეს ცოტაა მოცემული პროგრამისათვის.

პროგრამის თვითშეფასებაში გასაუმჯობესებელ მხარედ წარმოდგენილია „პროგრამისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერმანენტული განახლება“, ხოლო გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად დაგეგმილ აქტივობებში და ვადებში წარმოდგენილია შემდეგი ჩანაწერი: „ლაბორატორიების პერმანენტული განახლება თანამედროვე ხელსაწყო-მოწყობილობებით“. თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო პასუხი კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, გარდა მომავალში RMG-ის შესაძლო დაფინანსებით რიგი ტექნიკური მოწყობილობების შეძენაზე.

ამასთან, 2021 წელს, პროგრამის წინა აკრედიტაციის დროს, ექსპერტთა ჯგუფი თავის დასკვნაში აღნიშნავდა, რომ რადგან პროგრამის თვითშეფასებაში გასაუმჯობესებელ მხარედ იდენტიფიცირებული იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, იმედოვნებდა, რომ „ფაკულტეტის ახალ სამოქმედო გეგმაში (რომელზეც ამჟამად მუშაობს ფაკულტეტი) დაწვრილებით იქნება წარმოდგენილი პროგრამის საჭიროებებზე გათვლილი ღონისძიებები“.

მოცემული შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებიდან გამოითხოვა სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის საკითხზე წარმოდგენილია შემდეგი ღონისძიებები: 1. სასწავლო-სამეცნიერო და კვლევითი კომპიუტერული ცენტრის შექმნა; 2. მესამე სასწავლო კორპუსის შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეოთვალუბის მონტაჟი; 3. კომპიუტერული ბაზის განახლება; 3. მესამე სასწავლო კორპუსის ორი სასწავლო აუდიტორიის რემონტი. აღნიშნული ცხადყოფს, რომ პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაზე, განსაკუთრებით დარგობრივი ლაბორატორიების მოწესრიგებისა და განახლების საკითხზე, ფაკულტეტის სამოქმედო გეგმაში არაფერია განსაზღვრული. შესაბამისად, რეკომენდებულია განხორციელდეს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართულების დარგობრივი ლაბორატორიების მოწესრიგება და ტექნიკური განახლება სფეროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ს და ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- პროგრამის თვითშეფასება;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- 2020-2022 წლებში გამოცემული დარგობრივი ლიტერატურა;
- სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა <https://gtu.ge/Library/>;
- საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA" <http://opac.gtu.ge/>
- სამეცნიერო მონაცემთა ბაზები <https://gtu.ge/Library/Databases/>
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია განხორციელდეს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართულების დარგობრივი ლაბორატორიების მოწესრიგება და ტექნიკური განახლება სფეროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.
- რეკომენდებულია პროგრამის მიერ შეფასდეს დარგობრივი ლიტერატურის განახლების საჭიროებები და სასწავლო კურსების სახელმძღვანელოების შემუშავებისას ძირითად ლიტერატურად გამოყენებულ იქნას დარგობრივი სფეროს თანამედროვე სტანდარტები და ლიტერატურა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა

ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“, როგორც სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული მიმართულება, სახელმწიფოს მიერ სრული დაფინანსებითაა უზრუნველყოფილი.

საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 371250 ლარი; აქედან, შრომის ანაზღაურება 180000 ლარი; პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დამატებითი ხარჯი 12000 ლარი; პროგრამის განვითარების ფონდია 30 %.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ ფინანსური ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამა მდგრადია.

დაწესებულების ფინანსური რესურსები და პროგრამის ფინანსური შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით დარგობრივი სასწავლო სივრცეების მოსაწყობად, რაც დაწვრილებითაა აღწერილი 4.3 კომპონენტის შეფასებაში და შესაბამისი რეკომენდაციის სახით. შესაბამისად, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის ფინანსური რესურსების გონივრული და მიზნობრივი გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია.

რეკომენდებულია, ფინანსური რესურსები მაქსიმალურად მოხმარდეს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართულების დარგობრივი ლაბორატორიების მოწესრიგებასა და ტექნიკური განახლებას, სფეროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის "საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა" ბიუჯეტი
- ფაკულტეტის სამოქმედო გეგმა 2021-2023
- ინტერვიუების შედეგები
- პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და შეფასება

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ფინანსური რესურსები მაქსიმალურად მოხმარდეს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართულების დარგობრივი ლაბორატორიების მოწესრიგებასა და ტექნიკური განახლებას, სფეროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს ხელმძღვანელობს ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის შესაბამის სამსახურთან ერთად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარ საქმიანობას საფუძვლად უდებს როგორც ბოლონის პროცესის ფარგლებში ევროკომისიის, ევროსაბჭოს, იუნესკოსა და სხვა ოფიციალური და საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ უცხოელი ექსპერტების მიერ შემუშავებულ დოკუმენტებს/სახელმძღვანელო პრინციპებს, ისე საქართველოს კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით. სამსახურის დებულების მიხედვით, მისი ძირითადი ამოცანებია უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასება; სწავლის, სწავლების, კვლევისა და შეფასების მრავალფეროვანი და თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით სისტემატური თვითშეფასების განხორციელება; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის შექმნის, განვითარებისა და მათი დანერგვის უზრუნველყოფა; საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა და სხვ.

ინსტიტუცია საუნივერსიტეტო სერვისებისა თუ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მიზნით ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით - PDCA ციკლით, რაც მოიაზრებს პროცესების დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების უწყვეტ პროცესს. ამავე ციკლის პრინციპების გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, შეფასება და განვითარება, რომელიც თავის მხრივ, ეფუძნება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის“-ს. ეს უკანასკნელი დოკუმენტი კი წარმოადგენს მკაფიო და დეტალურ გზამკვლევს იმისა, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს უნივერსიტეტის ბაზაზე შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა და რა პროცედურები უნდა განვლოს პროგრამის შემუშავებელმა აკადემიურმა გუნდმა მისი პროგრამის შეფასებისა და განახლების პროცესში. რეგულაციის თანახმად, პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და ურთიერთთანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე. კერძოდ კი, შესაბამისი დარგის აკადემიური და სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საგანმანათლებლო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში 2018 წლიდან შემუშავებულია და მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ დოკუმენტი. დოკუმენტი გამოყოფს ისეთ ქვეთავებს, როგორცაა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის შემუშავების პრინციპები, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტები (მოიცავს: ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, პროგრამების შემუშავება-დამტკიცებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა, სწავლებას და შეფასებას, მასწავლებლებს/ლექტორებს, მატერიალურ რესურსებს, მიმდინარე მონიტორინგსა და პროგრამების პერიოდულ შეფასებას და ა.შ.). რეგულაცია მოიცავს ასევე დანართს საუნივერსიტეტო ხარისხის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და ამოცანების შესახებ.

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის შეფასებისა და განახლების პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკიდან გამომდინარე, აქტიურად იყო ჩართული

პროგრამის აკადემიური გუნდი როგორც პროგრამული საფაკულტეტო კომისიის, ისე თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ფორმატში. რეაკრედიტაციის თავდაპირველ ეტაპზე, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა შესაბამისი კომპეტენციის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალით, სტუდენტით, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლით. ცენტრალურ და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით, ჯგუფის წევრები ანალიზებდნენ პროგრამის თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებს, განიხილავდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს და აინიცირებდნენ პროგრამაში შესატან რიგ ცვლილებებს, რაც დასტურდება როგორც თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი ოქმებით, ისე მიზნობრივ ჯგუფებთან გასაუბრებებითა და მოდიფიცირებული პროგრამით.

წარმოდგენილი პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში:

- შემუშავდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა; პროგრამის კურიკულუმის რუკა, სადაც წარმოდგენილია თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსი და განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევის დონე (1 - გაცნობა, 2 - გაღრმავება, 3 - განმტკიცება);
- განხორციელდა სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები, გაანალიზდა მიღებული შედეგები;
- განხორციელდა პროგრამის კომპლექსური შეფასება;
- პროგრამების შეფასდა დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ;
- ჩატარდა პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკმიანობის შეფასება.

თანდართული დოკუმენტაციებითა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი თანამშრომლობდა პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი <http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php>;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- ბრძანება „ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- „სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის № 01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამა იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებს, როგორცაა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის სტანდარტები, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები, კოლეგიალური შეფასებები, დაინტერესებული მხარეების, კერძოდ კი, დამსაქმებელთა და პროფესიული ასოციაციების წარმომადგენელთა შეფასებები და სხვ.

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის განახლების პროცესში გათვალისწინებულია წინარე აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების უმეტესი წილი, რის საფუძველზეც პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, მათ შორის, მოდიფიცირდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, შეიცვალა პროგრამის სასწავლო გეგმა, მეტ-ნაკლებად განახლდა სასწავლო კურსებში არსებული სავალდებულო ლიტერატურა, დაემატა ახალი სასწავლო კურსები და ა.შ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პროგრამა შეფასდა პარტნიორი დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ. დანართ დოკუმენტებში (დანართი N11) წარმოდგენილია კოლეგიალური შეფასების 7 დასკვნა/რეცენზია, რომელთა თანახმად პროგრამა შეფასებულია დადებითად. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ დამსაქმებლებთან პროგრამის ხელმძღვანელსა და აკადემიურ პერსონალს აქვს მჭიდრო და დიდი ხნის თანამშრომლობითი ურთიერთობის გამოცდილება. ინტერვიუზე წარმოდგენილი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და წამყვანი სპეციალისტები იცნობდნენ წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამას, რაც დასტურდება როგორც ინტერვიუს შედეგებით, ისე თანდართული დოკუმენტებით (თვითშეფასების ანგარიში და დამსაქმებელთა გამოკითხვა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- კოლეგიალური შეფასების დასკვნები (7 ერთეული);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზანია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით განხორციელების უზრუნველყოფა, სასწავლო და კვლევითი პროცესებისა თუ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შეფასება სტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მონაწილეობით.

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების, შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით, სტუ-ში რექტორის ბრძანების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე იქმნება „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია“, რომელიც წინასწარშემუშავებული და დამტკიცებული რეგლამენტის საფუძველზე ახორციელებს პროგრამის კომპლექსურ შეფასებას. აღნიშნული კი გულისხმობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას, პროგრამითა და სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის შეფასებას, სასწავლო ლიტერატურის მონიტორინგს, პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებაზე დაკვირვებას, შრომის ბაზრის საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას, პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგს და ა.შ.

პროგრამის შეფასება ძირითადად ხდება შესაბამისი კითხვარების მეშვეობით, სადაც რესპონდენტებს შესაძლებლობა აქვთ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებებია პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის, სწავლების მეთოდების, ლიტერატურის, მატერიალური რესურსების და სხვათა შესახებ. შესაბამისად, უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმად იყენებს და შემუშავებული აქვს სისტემური გამოკითხვის ფორმები (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის), პერიოდულად ახდენს მათ განახლება-გაუმჯობესებას. ასევე, წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ჩატარებულია სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, აკადემიური პერსონალის გამოკითხვები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის “საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ ფარგლებში განხორციელებულ გამოკითხვებში სტუდენტთა გამოხმაურების დონე ძალიან დაბალია, რაც რა თქმა უნდა დაწესებულებას საშუალებას არ მისცემს მიღებული შედეგები განაზოგადოს მთლიან პროგრამაზე. სასურველია ინსტიტუციამ იზრუნოს გამოკითხვებში რესპონდენტთა გამოხმაურების მაჩვენებლის გაზრდაზე. ასევე, შესაძლებელია დაწესებულებამ შეცვალოს გამოკითხვების აქამდე დანერგილი პრაქტიკა (რაოდენობრივი კვლევის კითხვარით გამოკითხვების ჩატარება) და დანერგოს განსხვავებული მიდგომები. მაგ., შესაძლებელია შემუშავდეს თვისებრივი კვლევის კითხვარები და მათ საფუძველზე განხორციელდეს სიღრმისეული ინტერვიუები ან ფოკუს-ჯგუფებში სტუდენტების/კურსდამთავრებულების გამოკითხვა. მნიშვნელოვანია ფოკუს ჯგუფები დაკომპლექტდეს განსხვავებული აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებით/კურსდამთავრებულებით. მსგავსი მიდგომით სიღრმისეულად იქნება შესწავლილი პროგრამის თვისებრივი მაჩვენებლები, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის აკადემიურ გუნდს დაწვრილებით გაეცნონ დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებებს, მოახდინონ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოწვევებისა თუ საჭიროებების, პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების უკეთ იდენტიფიცირება.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით, ცენტრული და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ახორციელებენ სასწავლო პროცესის მონიტორინგს, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების დადგენასა და ანალიზს, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასებას, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების გაანალიზებას და სხვ.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“ მონიტორინგის მიზნით პროგრამის ადმინისტრაციული და აკადემიური გუნდის მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის კომპლექსური შეფასება, რომლის ფარგლებშიც შესწავლილი იქნა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სხვადასხვა კომპონენტი, მათ შორის, პროგრამის სასწავლო გეგმა, სასწავლო კურსები, შემადგენელი ადამიანური და მატერიალური რესურსები, სტუდენტთა პროგრესია, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა და სხვ.
- განხორციელდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. იდენტიფიცირებული იქნა სასწავლო კურსებში არსებული გასაუმჯობესებელი მხარეები, რომლებიც აფერხებდნენ სწავლის შედეგების მიღწევას;
- ჩატარდა პროგრამის SWOT-ანალიზი;
- ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა პროფესორ-მასწავლებლებისა და სასწავლო კურსების შეფასების მიზნით;

- საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით პროგრამა შედარდა უცხოურ ანალოგ პროგრამებთან, რა დროსაც შესწავლილ იქნა პროგრამების მიზნები, შედეგები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კურიკულუმის სტრუქტურა და შემადგენელი სასწავლო კურსები და დატვირთვა ECTS კრედიტებში.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის პროცესში დასტურდება აკადემიური და ადმინისტრაციული გუნდის ჩართულობა და მონაწილეობა, თუმცა პროგრამაში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეები ნაკლებად იცნობენ პროგრამის მონიტორინგით მიღებულ შედეგებს. სასურველია პროგრამის განვითარებით დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) ინფორმირებულნი იყვნენ პროგრამის შეფასებითა და მონიტორინგით მიღებული შედეგებით და ამ მიზნით, მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს ჩატარებული კვლევებისა და შეფასებების ანგარიშები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o თვითშეფასების ანგარიში;
- o დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ;
- o სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- o კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- o საგანმანათლებლო პროგრამის კომპლექსური ანალიზი;
- o პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- o ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- o -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o სასურველია, ინსტიტუციამ იზრუნოს პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ გამოკითხვებში რესპონდენტთა მაჩვენებლის გაზრდაზე, ასევე მოცემული პროგრამისათვის შესრულდეს თვისებრივი, სიღმისეული კვლევები, მათ შორის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ფოკუს-ჯგუფების შექმნით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): -

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა, ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ციცინო თურქაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

მამუკა ბენაშვილი

თეა გიორგაძე

თამარი დოლიძე

ქრისტინე ჩიხლაძე

ნინო ჯავახიშვილი